ფასი 25 თეთრი

... ნაირგვარი თავშესაქცევი ინფორმაციით ...

# ფანტაზია

№ 6 (32)

2-9 მარტი | ი/ს „ფანტაზიის“ ყოველკვირეული შემეცნებით-გასართობი გაზეთი. | 1997 წელი

## პოეტური გენია – (თითქმის) პოეტურ კროსვორდში





1881 წლის 1 მარტს ბატონმა აკაკიმ ქართველებს ამცნო – „დღეს მერცხალი შემოფრინდა“-ო – და ლიტერატურის პარტიულობის მომხრე ლიტ. მცოდნეებმა ასე „გაშიფრეს“: ეს მერცხალი პეტერბურგიდან მოსული ცნობა იყო რუსეთის იმპერატორის, ასე ვთქვათ, „დაყაჩაღების“ შესახებო...

იმ ლიტ.მცოდნეებმა სხვა მრავალი ფაქტიც გაშიფრეს ასე, პარტიულობის პრინციპით, თუმცა ეს არარავის არელვებს, მთავარი ისაა, რომ დღეს გაზაფხული შემოფრინდა (ჩემო ბატონო!) საქართველოში და გვსურს, რომ მისი მეკვლე დიდი აკაკი და ჩვენი (პა-ა-ა-ა-წაწა!) „ფანტაზია“ იყოს!

თარაზულად: 6. საფარ-ბეგი ხომ გახსოვთ? ჰოდა, ისიც გეხსომებათ, თუ „ვინ“ (უწესო ქალი) ეგონა მას ნაზიბროლა; 8. ბატონი აკაკის ერთ-ერთი „ტიტული“; 9. მინდვრის ფრინველი, რომლის ჯოგში ბატონი აკაკის დიდი წინაპრის მთ. პერსონაჟი („შიგან“) გაერია; 10. სღვთისმეტყველო მეცნიერება; 11. რა ერქვა ბატონი აკაკის მეუღლეს? 13. ჩვენი ქვეყნის საკურორტო დაბა; 17. ცხენის რა სინონიმი გამოიყენა ბატონი აკაკის კიდევ ერთმა წინაპარმა? 18. დაახლ. იგივეა, რაც დამღა; 19. ბატონი აკაკის „სულიკოს“ საუკეთესო საакომპანემენტო ინსტრუმენტი; 21. ღვინის გადამეტებული მოხმარება; 22. ბატონი აკაკის პოეზიის ერთი „უგნური“ პერსონაჟი; 23. ჯილდოს სახეობა; 26. გაუთავებელი ხმაური; 27. ბატონი აკაკის შემოქმედების უმთავრესი ლიტ. ხერხი; 30. ბატონი აკაკის არაქართველი კოლეგა და წინამორბედი ინგლისიდან; 31. ლიტ. ნაწარმოების ზოგადშემადგენელი ნაწილი; 32. ბატონი აკაკის თანამედროვე საზ. მოღვაწე, სახელად კოტე; 33. ვინ იყო თითოეული ის ბერძენი, რომელმაც აკაკის მშობლიურ მხარეში ნავით ამოცურა? 34. ბატონი აკაკის ერთი პოემის მთ. პერსონაჟი; 35. ქალაქი, სადაც ბატონი აკაკის ვაჟიშვილია დაკრძალული; 36. ვინ არის ის „პატარა“, რომელსაც ბატონმა აკაკიმ პიესა მიუძღვნა? 37. ალეგორიული ნაწარმოები (თუნდაც ბატონი აკაკისა).

შვეულად: 1. ქალაქი, სადაც ბატონმა აკაკიმ ახალგაზრდობა გაატარა; 2. როგორი ფრინველია ბულბული? 3. ბატონი აკაკის თანამედროვე საზ. მოღვაწე, სახელად ია... 4. „ბაში-აჩუკის“ პერსონაჟი ქალი; 5. სატრფიალო თამაში; 6. მსახიობი (ისიც აკაკი), რომელიც აკაკისთან ერთად იწყებდა მოღვაწეობას კინოში; 7. აკაკის უფროსი მეგობარი, ნაზიბროლას სატრფო; 12. აკაკის ძიძიშვილი; 14. როგორი მოსწავლე იყო აკაკი? 15. მაშ, რა იყო ის სასწავლებელი, სადაც აკაკი ურჩობდა? 16. ერთხელ აკაკიმ ერთ ურჩ ბავშვს ექსპრომტი შეუთხზა:

„თუ არ ჭამე ვერმიშელი,
მიგტყეპავენ, ვერ გიშველი!“ -ო

ახლა გვიპასუხეთ – რა არის ვერმიშელის უფროსი „ბიძაშვილი“? 18. ლიტერატურული „სახე“ ანუ – „რა“? 20. სიბნელეში შემოჭრილი მზის სხივი. 24. ბატონი აკაკის (უკვე ხსენებული) დიდი წინაპრის პოემის ერთ-ერთი მეფე; 25. ჩვენი ქვეყნის რაიონული ცენტრი; 27. (კიდევ ერთი) სახესხვაობა ალეგორიული ნაწარმოებისა; 28. აკაკის მშობლიური მხარის მეზობელი მხარე; 29. ბატონი აკაკის მშობლიური მხარის დედამდინარე; 31. ხელოვნების ჟანრი, რომელსაც (ჩვენში) აკაკიმ „დაუდო საფუძველი“ რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობით;

## მაცდური ქალივით...

მოვიდა
მარტი!
... და
გაზაფხულმა
აიღო
სტარტი!






ი/ს „ფანტაზიასთან“ არსებული კომპიუტერული ცენტრი გთავაზობთ ყველა სახის კომპიუტერულ მომსახურებას; ჩვენ შეგვიძლია აგიწყოთ და დაგიკაბადონოთ გაზეთები, ჟურნალები, წიგნები, საქმიანი ქაღალდები და სხვა პოლიგრაფიული პროდუქცია იაფად, სწრაფად, ხარისხიანად... ქართულ, რუსულ, ინგლისურ და სპარსულ ენებზე!

თქვენი კმაყოფილება ჩვენი წარმატებაა!

მისამართი: უზნაძის (ყოფილი კამოს) ქუჩა № 18(„საქწიგნი“, I სართ.)

## კინოფანტაზია

(იხილეთ მე-2 გვერდი)



## ფოტოფანტაზია

(შემდეგ ნომერში)

80 000 კილომეტრი...
კროსვორდის თანხლებით
(მე-3) გვერდი

კროუფ(ვ)ორდი... (საათით)
(მე-3) გვერდი

ნაცნობი სახეები ნაცნობ გაზეთში
(მე-4 გვერდი)

### ნომრის ციტატა

არიან ადამიანები, რომლებსაც ლათინურის ცოდნა სულაც არ უშლით ხელს, რომ ვირებად დარჩნენ.

მიგელ დე სერვანტესი

იცით თუ არა, რომ... პირველი მსახიობი, რომელსაც ფოტო-მოდელის მოვალეობის შესრულება მოუხდა, გახლდათ სარა ბერნარი და ეს 1859 წელს მოხდა. გთავაზობთ მის პირველ ფოტოს, რომელზედაც გამოსახულია სწორედ (ქალბატონი) სარა... და ეს ფოტო გადაღებულია პეტერბურგში... ჩვენთვის კი ყველაზე დამაინტრიგებელი ის ფაქტია, რომ ფოტოგრაფიის ავტორი ვინმე ნოდარი გახლავთ, როგორც ჩანს – ქართველი!

„Огонек“ №42, 1996



# (თითქმის) კინონოველები

## (კიდევ ერთხელ) «შეყვარებული კულინარის» შესახებ



1. ფრანგული კინოს ვარსკვლავი პიერ რიშარი პარიზში ცხოვრობს და თანაც ბარჟაზე (ფაქტიურად-წყალზე). მისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ საკუთარი „ბინის" ფანჯრიდან გამუდმებით უმზერდეს მდინარე სენას დინებას და ფიქრობდეს... (ალბათ!). მუსიე პიერის ოცნება კი ის გახლავთ, რომ მარტომ, ნავით გადაცუროს ატლანტის ოკეანე... აი, მგონი, ამიტომაც ცხოვრობს წყალზე და „ემზადება" მომავალი გაცურვისათვის.

2 პიერ რიშარი სულიერად ვერ იტანს ავტომობილს; პარიზის ქუჩებში იგი მხოლოდ მოტოციკლით თუ გამოჩნდება ხოლმე. მან ორჯერ შეიძინა ძვირფასი მოტოციკლი, „ჰარლეი-დევიდსონის" ფირმისა, და ორივეჯერ მოპარეს. ბოლო დროს კი იგი იაფფასიანი „ორთვალათი" სარგებლობს, ამ ეგზემპლარის მოპარვისა არ ეშინია, მაგრამ გამოჩნდა სხვა პრობლემა — ბორბლებში ჩათრევის შიშით გრძელკალთიან პალტოს ვეღარ იცვამს და იძულებულია მოკლე „კურტაკით" ისეირნოს.

3. თბილისში ყოფნისას პიერ რიშარს ქართული ნაბადი აჩუქეს და ისე მოეწონა მას ეს სამოსი, რომ უმალ შემოიცვა ტანზე და ქუჩაში გამოისეირნა. მიუხედავად იმისა, რომ „ბატონ" პიერს ერთგვარ „აცვენილ" ხალხად მიაჩნდა ქართველები, ნაბდით სიარულისას იგი ამჩნევდა, რომ ქუჩაში (იგივე) ქართველები სწორედ მას მიიჩნევდნენ „ერთობ გადარეულად". ჩვენი („ფანტ"-რედ.) აზრით, ფრანგ კინოვარსკვლავს ერთი ფიქრიც აწუხებდა ამ დროს: „ნუთუ შესაძლებელია, რომ ვერ მიცნონ მე?!... თუნდაც ამ ნაბადში..."



პიერ რიშარი. ირაკლი კვირიკაძესთან ერთად

## ვერონიკა კასტროც გაშიშვლდება

„პატარა სოფელი, დიდი ჯოჯოხეთი" — ასე ჰქვია ახალ ტელესერიალს, რომლის ჩვენებაც დაიწყო მექსიკის ტელევიზიამ, მთავარ როლს კი მასში ასრულებს ჩვენთვის კარგად ცნობილი ვერონიკა კასტრო.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მორიგი „შედევრის" სიუჟეტი ერთობ ტრადიციულია (იგივე სატრფიალო ვნებებითა და ბინძური ინტრიგებით), მაყურებელს მაინც ელის სიურპრიზი. პირველად, თავისი სამსახიობო კარიერის მანძილზე, ვერონიკა კასტრო ითამაშებს არა ახალგაზრდა გოგონას როლს, არამედ მოწიფული ქალისას და მაინც დარჩება ყველა ასაკის მამაკაცის ტრფობის ობიექტად. და რაც ყველაზე მოულოდნელია, — მექსიკური „საპნის ოპერების" პრიმადონა დათანხმდა, რომ (პირველად) გადაიღონ „ლოგინის სცენებში" შიშველ მდგომარეობაში. ფილმის ავტორების თქმით, ახალ სერიალში მრავალი პიკანტური სცენა იქნება, ოღონდ არცერთი მათგანი არ გადასცდება „წესიერების" ზღვარს.



ფილმის მოქმედება მიმდინარეობს 1900 წელს... იმედია, რომ, ჩვენ 2000 წელს სწორედ რომ ამ სერიალის თვალყურის დევნებით შევხვდებით.

## დიახ, სწორედ ის ჩიტა!

ერთ-ერთი გასულ ნომერში მომაკვდავი ლეკვის შესახებ გიამბეთ, რომელიც ჩვენს სამეზობლოში ერთმა ქალმა გადაარჩინა და რომელიც თავისი დიდი წინამორბედის, მაგდანას ლურჯას, მსგავსად დავის ობიექტი შეიქმნა, ის ლეკვი იმან გაგვახსენა, რომ მას რატომღაც „ჩიტა" დაარქვა ახალმა პატრონმა სწორედ იმ ჩიტას ფენომენის არსებობისა გამო, რომელიც კარგადაა ცნობილი კინოსამყაროში. თურმე ნუ იტყვით და ის მაიმუნი ჩიტა, რომელიც ლეგენდარულ ჯონი ვაისმიულერთან ერთად „ტარზანის" სერიალის 18 ფილმშია გადაღებული, ახლაც ცოცხალია და 63 წლის გახლავთ. მას სულ ორმოცდაათამდე ფილმში აქვს მონაწილეობა მიღებული და თავისი კარიერის ზეობისას დღეში 500 დოლარს უხდიდნენ „მსახიობობისათვის". 1967 წელს ჩიტა პენსიაზე გავიდა და მას შემდეგ თავისი დანაზოგით ცხოვრობს და ინახავს პენსიაზე გასულ სხვა



ცხოველებს.

ჟურნალ „როვესნიკის" ინფორმაციის თანახმად, ჩიტა ახლაც კარგ ფორმაშია, იგი ყოველდღიურად ვარჯიშობს სამსახიობო მეთოდიკით, თავისუფალ დროს კი უთმობს... ფერწერას, აქვე ნათქვამია, რომ ჩიტას მხატვრული ტილოების გაყიდვით ოთხფეხა მსახიობების ბიუჯეტი საგრძნობი შენატანით ივსება.

## კინოსიახლენი

გსმენია თუ არა, რომ მოსკოვში გაიხსნა რესტორანი „პლანეტა ჰოლივუდი", რომლის მფლობელი გახლავთ თავად არნოლდ შვარცენეგერი, რომელსაც „წილში უსხედან" სილვესტერ სტალონე და ბრუს ვილისი. ამასთან დაკავშირებით ჟურნალისტებმა დაადგინეს შემდეგი ფაქტები:

შვარცენეგერის ქონება დღეს 74 მილიონ დოლარს შეადგენს და იგი ამ „ნიშნით" მეშვიდე ადგილზე იმყოფება ამერიკის მდიდარ მსახიობთა შორის. ისიც ცნობილია, რომ სტალონეს და ვილისის ქონება შესაბამისად 44 და 36 მილიონ დოლარს შეადგენს.

* * *

აშშ-ში შეიქმნა პირველი კომერციული ვიდეომოდემი, რაც საშუალებას იძლევა, რომ რიგითმა მოქალაქემ სატელეფონო კავშირის საშუალებით ტერმინალზე შეარჩიოს მისთვის სასურველი ფილმი და ნახოს ის, ამასთანავე შესაძლებელია ამ ფილმის შეჩერება, კადრირება, გადახვევა, ანუ ჩვეულებრივი კასეტისათვის დამახასიათებელი ნიუანსები.

ჩვენს ქალაქში სულ უფრო პოპულარული ხდება ე.წ. „კომპიუტერული კაზინოები", სადაც რაღაც საფასურად (1 წთ 5 თეთრი) შეგიძლიათ გაერთოთ კომპიუტერული თამაშით. სხვათა შორის, არჩევანი საკმაოდ მრავალფეროვანია და არც კლიენტურის (უპირატესად თინეიჯერების) ნაკლებობა იგრძნობა.

იცით, თუ არა, რომ ჟურნალი „პლეიბოი" უკვე 50 წელია გამოდის და ამ ხნის მანძილზე გამოიცა 514 ნომერი; ამასთან დაკავშირებით ნიუ-იორკში გამოიცა სპეციალური წიგნი, რომელშიც თავმოყრილია „პლეიბოის" ყოველი ნომრის გარეკანზე აღბეჭდილი ლამაზმანების გამოსახულებები. ამ ინფორმაციას ვაწვდით იმასთან დაკავშირებით, რომ ახლახანს ჩვენს ქალაქში გამოჩნდა ჟურნალი სათაურით „ქართული პლეიბოი".

## ალი ხანის «კინოჰარემი»

აღმოსავლელი მამაკაცების მარადიული „სისუსტე" სწორედ რომ დასავლელი ქალები გახლავთ. რომლებსაც, როგორც წესი, თავისი ჰარამხანის ვარსკვლავებად ხდიან ხოლმე. თუმცაღა, ცივილიზაციის სწრაფმა განვითარებამ ჩვენს „ძველ ნაცნობებს" (შაჰ-აბასების კოლეგებს) მრავალცოლიანობაზე ხელი ააღებინა (ოფიციალურად მაინც) ჰოდა, სხვა რა უნდა ექნათ უჰარამხანოდ დარჩენილებს. ერთი ცოლი უნდა ჰყოლოდათ და საუკეთესო! სწორედ ასე მოიქცა დიდი ხნის წინ ისმაილიტების მუსლიმანური სექტის მეთაური, მსოფლის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი ალი აღა ხან III. ეს პიროვნება მთელ აღმოსავლეთშია ცნობილი თავისი „მუსუსობით" და ამიტომაც არ შემცდარა არჩევანში, როცა ცოლად მიიწვია „ატომური ეპოქის ვენერა", თვით სიყვარულის ღმერთქალი, კინომსახიობი როტა ჰეიუორტი, რომლის ფოტო იმ ატომურ ბომბზედაც კი იყო მიწებებული, რომელიც ჰიროსიმაში ჩამოაგდეს. ამ აღმოსავლელი „მონასტრისა" და, როგორც ვთქვით, „ატომური ვენერის" ქორწინება ოთხ წელიწადს გაგრძელდა და შედეგად იშვა გოგონა — იასმინა, რომელმაც შემდგომ, მამის მემკვიდრეობის წყალობით, დედა გადაარჩინა უზარმაზარი ვალებისაგან.

თვით ალი ხანმა კი მალევე მოძებნა რიტას შემცვლელი, კიდევ ერთი კინომსახიობი, ჯინ ტირინი, რომლის მიმართ პრეტენზიები გაუჩნდა აწ უკვე ალი ხანის მამას.

„ორი კინოვარსკვლავის გამოჩენა ერთ ღვთისმოშიშ დინასტიაში, სწორედ რომ ალაჰის შეურაცხყოფაა! — დაასკვნა მამამ და შედეგად მიტოვებული ჯინი შერყეული ფსიქიკით, შესაბამის კლინიკაში მოხვდა... თუმცა ჩვენი „კინომონადირე" მაინც არ დაცხრა და მესამე ჰოლივუდელ „ელვაერებას" — კიმ ნოვაკსაც გადაუშალა ტრფობით აღსავსე გული, მაგრამ ეს უკვე ქორწინების გარეშე მოხდა...

(მასალა მომზადებულია ჟურნალიდან „Страна любви")



რიტა ჰეიუორთი

### ინფორმაცია განსჯისათვის

## ფანტაზიიდან ფანტაზიამდე

ქართული პრესის სამზარეულოში გარკვეული ჩოჩქოლი შეინიშნება და ეს უპირველესად გაზეთების ღირებულებასთანაა დაკავშირებული, ანუ: ბევრმა ცნობილმა, ნაკლებცნობილმა თუ უცნობმა გამოცემამ ფასი დაახლოებით 25-30 %-ით შეამცირა.

ამ ინფორმაციას კი იმასთან დაკავშირებით გაწვდით, რომ ჩვენი აზრით, თებერვლის ყინვებმა და გარევაჭრობის მოწესრიგებასთან დაკავშირებულმა ღონისძიებებმა „შოკური ზეგავლენა" იქონია პრესის რეალიზაციაზე და აი, შედეგიც: პროდუქცია გაიაფდა! შესაძლოა, აქ ერთი ცნობილი გამოთქმის გახსენება ღირდეს, რომ „ზოგი ჭირი მარგებელია"!

* * *

რა მაგის პასუხია და ერთი ამბავი გამახსენდა ჩემი ბავშვობიდან:

ერთხელ მასწავლებელმა შეგვაგროვა ათიოდე წარჩინებული მოსწავლე და სარაიონო პიონერთა სახლში წაგვიყვანა, სადაც აღმზრდელობითი მეთოდიკის გეგმიური პროგრამით ჩვენ უნდა მოგვეწყო შეხვედრა იმ პიროვნებასთან, რომელსაც ცოცხლად ჰყავდა ნანახი... ლენინი!

... იმ გარემოსა და გრიმასების აღწერა სხვა დროისათვის გადავდოთ, ახლა კი უბრალოდ ვთქვათ:

— სასწაული თუ გინდა ესაა — იმ „აღზრდის" შედეგად რაღაც მაინც რომ შეგვრჩა გონებაში...

* * *

გაიგეთ თუ არა, რომ ვლადიკავკაზის „ალანიის" ფეხბურთელი თეთრაძე იტალიაში, კერძოდ „რომაში" წავიდა სათამაშოდ. ამ ინფორმაციას იმიტომ გაწვდით, რომ გვსურს ნელნელა სპორტულ თემაზე გადავერთოთ და მალე ვიხილოთ ჩვენი გამოცემა „სპორტი+ფანტაზია".

*და ისევ სპორტის სფეროდან:*

ჟოაო აველანჟმა, ფიფას ახლანდელმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ აღარ აპირებს ამ თანამდებობაზე დარჩენას... მის შემცვლელად ასახელებენ ორ რეალურ კანდიდატურას — (მეფე) პელეს და (კაიზერ) ფრანც ბეკენბაუერს, თუმცა, როგორც ირკვევა, ორივე მათგანი, ასე ვთქვათ, „თავპატიჟითაა" გართული და ერთმანეთს უთმობენ ფეხბურთის სამყაროს ადმინისტრაციულ ლიდერობას...



ი/ს „ფანტაზია"
რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ
№ 7/1-1811
ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები
პაატა დავითაშვილი
ბაქარ მათიკაშვილი
მისამართი: უზნაძის ქ. 18
(„საქწიგნის" შენობა, I სართული)

# კროუფ(ვ)ორდი (...საათით...)



თარაზულად: 1. დახედეთ სურათს და იფიქრეთ — რა უნდა იყოს ის სამედიცინო ცნება, რასაც სურათზე აღბეჭდილი „სუბიექტები" ერთად ქმნიან კომპოზიტის სახით? 5. ჯარიდან დაბრუნება. 13. ამკრძალავ-„დასადები" სიტყვა. 14. მატერიის ყველა ფორმის ერთიანობა. 15. ავადმყოფური „ქალურობა". 17. ტროპიკული ხილი. 18. ღვთიური „უნარი". 20. ყურძნის პროდუქტი. 23. იტალიის საფეხბურთო გუნდი. 24. ბრეჟნევისდროინდელი სკკპ ლიდერი, შვ. № 40-ის თითქმის მოგვარე. 25. რუსი მხატვარი, (1856-1910). 26. შოკოლადის სახესხვაობა. 27. გეომეტრიული ფიგურა. 28. ცნობილი ქართველი პიანისტი. 29. (ბატონი) ტუსკია, ქართველი კომპოზიტორი. 31. საოფიცრო ჩინი. 32. ფილიპინების არქიპელაგის კუნძული (ცოტაც წიგნებში იქექეთ, ბატონებო!). 33. მამაკაცის ერთ-ერთი თანამდებობა. 34. მტაცებელი ფრინველი. 36. ქალაქი უკრაინაში. 38. (გოსპოჟა) ახმადულინა. 39. გურამ ფანჯიკიძის რომანი. 44. გაიხსენეთ ალფრედო კოკოცას არტისტული ფსევდონიმი. 45. კაბის ფორმის სახეობა. 46. ერთხელაც დახედეთ სურათს და იფიქრეთ — რა „მაჩვენებელი" აკავშირებს მას ამ კითხვასთან? 48. აკვნის აუცილებელი ატრიბუტი. 49. ბურთით თამაში — ზოგადად. 50. უჩვეულო მოვლენა. 51. (მავანი) გრანდე, ბალზაკის შემოქმედების პერსონაჟი. 52. (შეავსეთ გადაკვეთები, დახედეთ სურათს), რა უნდა ჩაწეროთ? 53. დაახლ. იგივეა, რაც „წამომწყები". 54. პირი, რომელიც თავხედური (ან სარისკო) საქმით ცდილობს მიზნის მიღწევას.

შვეულად: 1. თემიდას „მსახური" ორგანო. 2. უკანონო შვილი. 3. ერთხელაც დახედეთ სურათს და იფიქრეთ — რომელი უკრაინელი მომღერალი წააგავს იერით ჩვენს საათიან ქალბატონს? 4. ვინ იყო სპარტაკი? 6. ქორწინების კომპოზიტორი. 7. რაჯ კაპურის მშობლიური ქალაქი. 8. ჩვენი იგავარაკული მეფე. 9. იგივეა, რაც ვნება (ოღონდ არაგრძნობიერი). 10. ერთ-ერთი ჯავახიშვილი. 11. ერთი სასანოვაგე-სინთეტური პოლიმერი. 12. ერთხელაც გაისარჯეთ, დახედეთ სურათს და იფიქრეთ — რა კომერციული შენაერთი „ეხმიანება" ჩვენი საათიანი ქალბატონის სახელს? 16. კახეთის სარკინიგზო ცენტრი. 19. ფიდეს ახლანდელი პრეზიდენტი. 21. საბეტონე რკინა. 22. ნორვეგიელი დრამატურგი. 23. ბელადის მიერ უარყოფილი გვარი. 24. გეომეტრიული ფიგურა. 30. ქართველ-ეგვიპტელი მოჭადრაკე ქალი (კროსვორდში ყველაფერი შეიძლება!) 33. რომის ერთ-ერთი იმპერატორი. 35. ისლანდიელი დიდოსტატი, ფიდეს ექს-პრეზიდენტი. 37. იტალიელი კინორეჟისორი. 38. საზღვაო პროფესია. 40. რუსეთის საზ. ტელევიზიის ერთი „მუსიკალური" წამყვანი. 41. (ფრანგული) კავშირი. 42. აშშ-ს შტატი. 43. ძველთბილისელთა მუს. ინსტრუმენტი. 47. კ. კორსიკის ადმ. ცენტრი (კარგი საკროსვორდო სიტყვა).

*ერთხელაც დახედეთ სურათს და იფიქრეთ — რა თანხა უნდა აეღო ამ ქალბატონს ამ საათის რეკლამირებაში (პასუხი მეგობრების წრეს გააცანით!).*

# აჯაფსანდალი



*... ასეთი გასართობი ბევრს მოსწონს, ანუ: ყოველ სიტყვაში ასოთა წყობა არეულია და გამრთობმა პირვანდელი სახე უნდა აღუდგინოს მას (სიტყვას, ბატონო!).*

*... ამგვარ გასართობს „ტვინხვრეტვორდსაც" უწოდებენ, ჩვენ კი არ მოგვწონს ეს „კომპოზიტი" და საერთოდ: „ვორდის" წინ მხოლოდ „კროს" უნდა იყოს (ჩვენი აზრით, ბატონო!).*

**თარაზულად:** 6. ლაშათივიბრა. 7. იახტა. 8. ჟეილი. 12. რახამსა. 14. დენარმი. 15. ბერუძეასი. 16. იგამა. 17. ზაპუა. 18. ლომიტპიდა. 19. დარმანინი. 21. ვილში. 23. აკაკო. 25. ზარმაბარუ. 27. კაპტილა. 28. რეგიანე. 31. ფიალა. 32. ლაკბო. 33. ლოგოსტომატი.

**შვეულად:** 1. ნატაკრო. 2. ომარა. 3. ნათაკერგი. 4. ლაძვი. 5. ნელადეი. 7. ვხიხა. 9. ჯანიო. 10. ლაშაჯივიხვი. 11. ნატაზეცრეპი. 13. სალობიემა. 14. მარვინძვე. 20. ტიტერფარა. 22. მალკუ. 24. ოტარა. 25. ნატატლა. 26. განშალი. 29. მუდია. 30. კალსო.

## ბასული ნომრის პასუხები

(ეპოქალური პიროვნება — სინანულის კროსვორდში)

თარაზულად: 7. მაო. 9. გენერალისიმუსი. 10. ვასილი. 11. ფოიერბახი. 13. თილისმა. 17. გორი. 22. ოიმიაკონი. 23. სიმონიანი. 24. იმპერია. 26. ატლანტი. 27. ვალოდია. 29. ზინოვიევი. 31. ოტო. 34. გელოვანი. 35. იაკობი. 37. ირაო. 38. მილიტარიზაცია. 39. ალილუევა.

შვეულად: 1. ბესარიონი. 2. ლენინი. 3. ფაშიზმი. 4. პიფი. 5. შიში. 6. კუპრი. 7. მირაბო. 8. ობსიდიანი. 12. ქსკორტი. 14. სოსელო. 15. ამფიბია. 16. სკრა. 17. გიგანტი. 18. როსტი. 19. ციტადელი. 20. მოლოტოვი. 21. ნიკიტა. 25. პანიკა. 28. კვოტა. 29. ზისი. 30. ვირი. 32. ორდე. 33. კობა. 35. ილი.

(კროსვორდი, „ილუსტრაციით"). თარაზულად: 1. ბრედბერი. 10. დაფნა. 13. აქტიუბინსკი. 14. მეცნიერება. 15. ფერმა. 16. ზაარბრიუკენი. 17. რეკლამა. 19. ედემი. 20. გრემი. 21. ნეოლითი. 22. უნარი. 24. ურემი. 25. ედისონი. 28. ონილი. 30. პრივილეგია. 31. ტბა. 32. იდენი. 26. სანტექნიკოსი. 37. კობრა. 38. ხოფა. 39. ჩარჯოუ. 40. ელენი. 41. მანიანი. 42. ცისფერყანწელები.

შვეულად: 1. ბუმერანგი. 2. ენციკლოპედია. 3. ბრიგადირი. 4. რურუა. 5. რქა. 6. ჩიტა. 7. მუზა. 8. ოსპი. 9. ეკიუ. 11. ფარისეველი. 12. ანალგინი. 13. აბერდინი. 15. ფერგიუსონი. 16. ზამერი. 18. მათუსალა. 22. უნაგირი. 23. იორდანია. 26. პრიმადონა. 27. მატროსოვი. 29. ლენქორანი. 33. დამოკლე. 34. ეტრატი. 35. ონკანი.

(მე-4 გვერდი) თარაზულად: 1. კლეოპატრა. 8. მსტოვარი. 12. პორტუგალია. 13. კვაზიმოდო. 14. სკუადრა. 15. საკრამენტო. 17. სეული. 18. ლასკერი. 20. კიროსი. 23. უდარდელი. 25. კრემონა. 27. ფანტა. 29. შხარა. 30. ბუფონადა. 32. აუდიტი. 33. ისინი. 34. გაბო. 35. დიტო. 36. ისიდა. 38. ტრიპტიქი. 39. ორტ. 41. ტიბო. 42. ჩლუნგი. 44. პანტერა. 46. ნუარე. 47. ლაციო. 48. ჩიჩილაკი. 49. ურიცკი. 53. ტარდელი. 54. გლადიატორი. 57. კორეა. 60. სტაკატო. 61. რეკრუტი. 62. კიდმანი. 63. მინსკი. 65. პროზა. 66. კავსაძე. 68. იმპერია. 70. მასრა. 71. ელვა. 73. კანტონი. 75. ვანილი. 78. გერინგი. 79. დელიკატესი. 83. ბრაგინსკი. 84. პარიკმახერი. 88. სტეპი. 89. ამქარი. 91. ომანი. 95. სოჭი. 96. ბანდერასი. 97. ულტრა. 98. მარტინსონი. 99. მსაჯი. 100. ჩიგორინი. 101. კოჯორი. 102. ხაჩკი.

შვეულად: 1. კიკალეიშვილი. 2. ემანსიპაცია. 3. პლისეცკაია. 4. ტროპიკები. 5. აპოსტროფი. 6. მუყო. 7. ფაზენდა. 8. მისტერიები. 9. საკო. 10. ვედეკინდი. 11. რეალიზატორი. 16. კასანდრა. 19. კეფა. 21. იმუნიტეტი. 22. ონო. 24. ლაუდრუპი. 26. ადაპტაცია. 28. ტიტოგრადი. 31. ბაქო. 34. გიბსონი. 37. დეპარდიე. 40. სნეული. 42. ჩაიკოვსკი. 43. ანტაგონიზმი. 45. სინდიოფალა. 47. ლიგატურა. 50. რიტორიკა. 51. ციოლკოვსკი. 52. ნასტასია. 55. დრო. 56. აკორდეონი. 58. ანაკრეონტი. 59. სიმენონი. 64. კოსტნერი. 67. დათვი. 69. პატრიარქატი. 70. მაზანა. 72. ვალპარაისო. 74. ნეესკენსი. 76. სიესი. 78. გაბზარული. 80. ლაპიონი. 81. ბისმარკი. 82. კაშნე. 85. რომბი. 86. კრონისი. 87. ინდოელი. 90. რძალი. 92. კიოტო. 93. ურმია. 94. ამაო.

# 80 000 კილომეტრი... კროსვორდის თანხლებით




თარაზულად: 5. ამ ქვეყნების (ბალკანელებზე მოგახსენებთ) საერთო შვილი, სახელად ალექსანდრე... „გვარი" თქვენ გაიხსენეთ, ბატონო! 6. ბულგარეთის კურორტი. 7. რუმინეთის საფეხბურთო გუნდი, ჩვენს „დინამოსთან" ახლახანს რომ დამარცხდა. 14. (ერთხელაც ვახსენოთ) ახლო წარსულის იუგოსლაველი მოჭადრაკე დიდოსტატი. 16. ჯერ ამ ქვეყნების საერთო დედა-მდინარე გაიხსენეთ, კროსვორდში კი მისი რუსი „კოლეგა" (მატუშკობის დარგში) ჩაწერეთ. 17. ამ ქვეყნების მოსაზღვრე საზღვაო სივრცის სახელი. 18. (ერთ-ერთი) მახარაშვილი, რომელმაც ომით გაიარა ბალკანეთი. 20. მაშ, „რა" განისვენებს ჩვენი დიდი პოეტისა რუმინეთში? 21. ბალკანეთის საზღვაო მოპირდაპირე ქვეყნის უძვ. ნაწილი (შორს ნუ წახვალ, ძამა!). 22. ჩვენი კროს-ტურის ერთ-ერთი ქვეყნის დედაქალაქი. 25. სტალინის ბალკანელი კოლეგა. 26. ვინ იყო ალბანელი სკანდარბეგი თავისი ქვეყნისთვის? (მისი როლი აკ. ხორავამ განასახიერა). 28. რუსეთში გადახვეწილი ბულგარელი „ბულბული". 30. აფრიკის სახელმწიფოს დედაქალაქი (იქაც ჩაგალთ!). 31. ერთი ბიბლიური (მეამბოხე) პერსონაჟი. 35. ყოფ. იუგოსლავიის პორტი ადრიატიკის სანაპიროზე. 36. საზ. კვების თანამედროვე ტიპის ობიექტი. 37. პატარა დასახლებული პუნქტი. 38. გვარი, რომლითაც ერთი თბილისური ბაზრობა მოიხსენიება (ბულგარული საქონლით გაჯერებული). 39. წინამორბედი კითხვის „პერსონაჟის" მოგვარე, უმშვენიერესი ქართველი კინომსახიობი. 41. უმაღლესი ქალი-ღვთაება რომაულ მითოლოგიაში. 43. ევროპის კუნძულოვანი სახელმწიფოს დედაქალაქი (იქაც ჩავალთ!). 44. ქალაქი ყოფ. იუგოსლავიაში.

შვეულად: 1. 60-70-იანი წწ. იუგოსლაველი ესტრადის მომღერალი... თბილისში ხშირად ჩამოდიოდა. 2. ყოფ. იუგოსლავიის შემადგენელი ნაწილი. 3. საქართველოს მდინარე. 4. ბალკანეთის ყოფილი „მეპატრონე" ქვეყნის ახლანდელი პრეზიდენტი. 8. ბალკანეთის ნახევარკუნძულის უძვ. ქვეყნის სახელი. 9. ბულგარელი ფეხბურთელი. 10. სიტყვათა გამეორება. 11. „გაჭირვების" ფუნქციონალურ-იდიომატური ნაწილი. 12. ბულგარელების რძალი. 13. იუგოსლავიის ისტ. ოლქი. 15. რუმინელი დიქტატორი. 17. ერთგვარი ბგერების განმეორება სიტყვაში. 19. ყოფ. იუგოსლავი კინომსახიობი, ინდიელების როლების შემსრულებელი. 22. ნავთობმზიდი საზღვაო საშუალება. 23. თქვენს ხელთარსებული კროსვორდის ერთ-ერთი „გმირი-ქვეყანა". 24. შვ. № 15-ის სახელი. 27. ყოფ. იუგოსლავიის შემადგენელი ნაწილი. 29. საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა. 31. დაცინვის სახეობა. 32. თანამედროვე ხორვატი ფეხბურთელი. 33. რუმინული ყველის სახესხვაობა. 34. ჰიტლერის სახელმწიფოს სამხედრო-სადაზვერვო ორგანო. 39. ერთ-ერთი ბალკანური ქვეყნის ფულის ერთეული. 40. (თუ გნებავთ) ერთი არაბი კაცის სახელი ჩაწერეთ. 42. თხრ. № 16-ის მარჯვენა შენაკადი.

## ბალკანეთის ქვეყნები

**ბულგარეთი — 110,9 ათასი კვ. კმ; მოსახლეობა — 10 მლნ., დედაქალაქი — სოფია; ჩვენს ქვეყანას (საქართველოზე მოგახსენებთ!), „უშურველი" მეგობრობის გამოისობით, „ამარაგებს" კვების პროდუქტებით და, რაც მთავარია, ლუდით... და რა ქალები ჰყავთ, იცით?! — იფ!**

**ალბანეთი — 28,7 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა — 3,5 მლნ., დედაქალაქი — ტირანა. ერთდროს ჩვენი ქვეყანა (საქართველოზე მოგახსენებთ!) ალბანელებს კინომსახიობებით „ამარაგებდა" (ხორავა, ზაქარიაძე, ანჯაფარიძე).**

**რუმინეთი — 237,5 ათასი კვ. კმ., მოსახლეობა — 23 მლნ., დედაქალაქი — ბუქარესტი; ჩვენი ქვეყნის (საქართველოზე მოგახსენებთ) დიდი შვილი, ბესარიონ გაბაშვილი (ბესიკი) რუმინეთის ქალაქ იასიში განისვენებს... ერთხელ რუმინეთმა ჩვენ დიქტატორის სიმბოლური განმარტებით — „ჩაუშესკუთი" — მოგვამარაგა.**

**ყოფ. იუგოსლავია — აქ დღეს „ძაღლი პატრონს ვერა სცნობს".**

ქმარი გვიან დაბრუნდა სახლში, ჩუმად შეიპარა საძინებელში, გაიხადა ტანსაცმელი და მიუწვა ცოლს.

ყველაფრის შემდეგ, წყალი მოსწყურდა, გამოვიდა სამზარეულოში და ხედავს — იქ მისი ცოლი ჭურჭელს რეცხავს.

— ვაჰ, იქ საძინებელში ვილაა?! — გაიოცა ქმარმა.

— დედაჩემი ჩამოვიდა დღეს და იქ დავაწვინე — უპასუხა ცოლმა.

ამ დროს გამოდის მიბნედილი სიდედრი და, ხვდება რა ყველაფერს იმ კაცის ცოლი, საყვედურობს დედას:

— დედა, ეს როგორ შეიძლება?! რატომ არ უთხარი ჩემს ქმარს, თუ ვინ იყავი?!

— მე ამ დებილს ათი წელია ხმას არ ვცემ და არც არასოდეს გავცემ!

# CROSS-GALLERY

# ნაცნობი სახეები — ნაცნობ გაზეთში — 4







































**თარაზულად:** 1. *(იხილეთ ფოტო და ჩაწერეთ)* რა გვარია ეს „ყმაწვილი"? 9. შუშანიკის „ჰობი" (შეგვინდოს უფალმა); 12. კირილე მიმინოშვილის „ჰობი" (... და „დოპინგიც"); 14. დავით გურამიშვილის სოფელი; 15. ნიანგების (ცისფერი და თეთრი) მდინარე; 16. საფრანგეთის ისტორიული მხარე; 17. 1982 წ. საფეხბურთო მსოფლიო ჩემპიონატის თილისმა; 18. აკაკი წერეთლის ლექსი; 20. დიდი რუსი მეცნიერი; 22. ძვ. ბერძენი დრამატურგი; 24. კუთხის საზომი ერთეული; 26. ქალი — აკაკი წერეთლის პოეზიიდან; 27. მდინარე იტალიაში; 30. იგივეა, რაც „გლეხუჭა" (ჩვენ არავის შეურაცხყოფა არ გვსურს!); 31. *(იხილეთ ფოტო და ჩაწერეთ)* რა გვარია ეს ძველი ფეხბურთელი? 34. იგივეა, რაც აფიქსი; 35. როგორია ზოგიერთი სატრანსპორტო საშუალების მარშრუტი? 36. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ჰამლეტი; 37. „კავკასიური ცარცის წრის" ავტორი; 38. იგივეა, რაც აფხაზი; 41. მამაკაცის სამოსის სახეობა; 43. ირან-აზერბაიჯანის სასაზღვრო ქალაქი (ჰკითხეთ შოპ-ტურისტებს); 44. *(იხილეთ ფოტო და ჩაწერეთ)* რა გვარია ეს ფეხბურთელი? 46. ლექსის ნაწილი; 47. თავსაბურავის სახეობა; 48. ეკლესიის მუდმივი „კონტიგენტი"; 49. ოთხი ბოძი და ბაგირები; 50. იაპონური ტელე-ვიდეო აპარატურის ფირმა; 52. იგივეა, რაც ნამიანი; 53. უმაღლესი არისტოკრატული წოდება ინგლისსა და საფრანგეთში; 56. (კინო) არდადეგების ქალაქი; 58. ინგლისის ქალაქი-პორტი; 60. დიდებული რუსი მსახიობი; 61. „წიგნის" ნაწილი; 62. იგივეა, რაც ალჭურვილობა; 63. მსოფლიოს ერთ-ერთი ჩემპიონი ჭადრაკში; 64. „დათა თუთაშხიას" პერსონაჟი ქალი; 66. ბალახით დაფარული სივრცე; 67. ტურიზმის სპეციალობა; 68. სრული მარცხი; 69. (ქართული წარმოშობის) რუსი პოეტი; 71. ერთგვარი უალკოჰოლო სასმელი; 74. სინიორ ლუიჯი, იტალიელი მწერალი... (ერთ ფილმში „გაკახელებული"); 77. იმპრესიონისტების საყვარელი (ეგზოტიკური) კუნძული; 79. გეომეტრიული ფორმა; 81. კურკიანი (და „პლაშჩიანი") ნაყოფი; 84. რუსული კომმარულ-ბულვარული გაზეთი; 84. ძველი სომხეთის ერთ-ერთი სახელი; 86. მოსახლეობის იძულებითი გადაადგილება; 88. *(იხილეთ ფოტო და ჩაწერეთ)* ამ „გოგონას" მშობლიური (უზარმაზარი) მხარე; 90. იური ნიკულინის სამოქმედო მოედანი; 91. ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია; 92. დაავადება, რომელიც „ცხვარია", მაგრამ თუ გაცხარდა... (დიახ, ბატონო!) ცხარია! 94. შემადგენელი ნაწილი; 95. წყალთან დაკავშირებული ცნება; 96. გზის სახესხვაობა მთიან რელიეფზე; 97. რა შეიძლება გაახსენდეს კაცს იოჰან შტრაუსის ხსენებისას? 98. რუსი მარშლის, ჟუკოვის, როლების შემსრულებელი; 99. არარსებული, ყალბი რამ.

**შვეულად:** 1. ამერიკული კოსმოსური ხომალდების სერია; 2. დიდი ჰოლანდიელი მხატვარი; 3. ძვირფასი ქსოვილის სახეობა; 4. *(იხილეთ ფოტო და ჩაწერეთ)* რა გვარია ეს მწერალი? 5. ის, რისი დიდოსტატიც ალექსანდრე დიუმა (მამა) იყო; 6. ჩრჩილსაწინააღმდეგო საშუალება; 7. მეხანძრეების „ძირითადი" საქმე (ხუმრობაა, ბატონო, ხუმრობა!); 8. ერთგვარი „გაერთიანება"; 9. *(იხილეთ ფოტო და ჩაწერეთ)* რა ცნებაა დაკავშირებული ამ „ყმაწვილთან"? 10. იგივეა, რაც სალბუნი; 11. (ბატონი) გაბაშვილი... რუმინეთში რომ განისვენებს; 13. რუსი მწერალი, ავტორი მოთხრობისა „უსინათლო მუსიკოსი"; 19. ერთი რამის შესავალი „რამ" (არა, ვერ გეტყვით რის შესავალია, რადგან ადვილად გამოიცნობთ...); 21. ზუსტ მეცნიერებათა „წარმომადგენელი"; 23. „გლახის ნაამბობის" პერსონაჟი; 25. საგანგებოდ გაკეთებული ტყე; 28. (კი მოგაბეზრეთ თავი, მაგრამ...) აბა, რა არის — პირველი „ო", მეორე „ა" და, რაც მთავარია, უდაბნოშია; 29. *(იხილეთ ფოტო და ჩაწერეთ)* რა ცნება გახსენდებათ ამ ბატონის ხილვისას? 30. ფლორის ერთობ „ემოციური" წარმომადგენელი; 31. ადრე ასეთ კაცს „ხელისგამმართავი" ერქვა, ახლა რა დაგვარქმევინეს? 32. ივნისი, ანუ? 33. ჩეხი როგბურთელი ქალი; 34. თბილისელი სომეხი (გენიალური!) კინორეჟისორი; 39. *(იხილეთ ფოტო და ჩაწერეთ)* ამ „გოგონას" გვარი? 40. „მილანის" ფრანგი ლეგიონერი; 42. *(იხილეთ ფოტო და ჩაწერეთ)* ამ მწერლის შემოქმედების ყველაზე ცნობილი პერსონაჟი; 45. კლავიატურიანი მუს. ინსტრუმენტების მწარმოებელი ფირმა; 47. *(იხილეთ ფოტო და გაიხსენეთ)* ვინ არის ეს „ყმაწვილი"? 50. თუ თარ. № 97-ში კვლავაც ინებებთ „ჩახედვას" (... და არ დაგვზარდებით!), იპოვით მას, ვინც ახლა გვჭირდება; 51. რომის ერთ-ერთი დამაარსებელი; 54. საწერი საშუალება; 55. *(იხილეთ ფოტო და გაიხსენეთ)* ვინ არის ამ „ყმაწვილის" პარტნიორი ერთ პოპულარულ „ლამაზ" ფილმში? 56. სტილური მიმართულება მე-18 ს. ხელოვნებაში; 57. მარტი, ანუ... 59. (თავისით ჩაიწერება); 61. ტელე-ვიდეო (და სხვა რამეების) მწარმოებელი იაპონური ფირმა; 64. *(იხილეთ ფოტო და ჩაწერეთ)* რა გვარია ეს რუსი „ყმაწვილი"? 65. (ბატონი) მახარაძე; 69. ამირანის ძმა; 70. აშშ-ს შტატი; 72. ქალი — სომეხთა განმანათლებელი; 73. თუ ინებებთ (... და არ დაგვზარდებით) და ერთხელაც დახედავთ № 55 ფოტოს, მიხვდებით, რაც უნდა ჩაწეროთ... 74. მუს. ინსტრუმენტი; 75. კუნძული ინდოეთის ოკეანეში (უკაცრავად და, ენციკლოპედიაში ამოჩიჩქნეთ); 76. (ისევ უკაცრავად... ისევ ნაჩიჩქნი...) რუსი მწერალი, პაველ ფიოდოროვიჩი... სოციალისტური ჰუმანიზმის პრობლემატიკოსი (პარტიის მინათითარი!); 77. (ისევ რუსი მწერალი) ავტორი რომანისა „ვაზირ-მუხტარის სიკვდილი"; 78. სატრანსპორტო საშუალება ძველ ევროპაში; 80. სასწავლო პროცესის სახესხვაობა; 82. სამხედრო-საავიაციო პროფესია; 85. მდინარე შვეიცარიაში; 87. ერთგვარი გამოსაკითხი ფურცელი; 89. გერმანელ ებრაელთა ენა; 93. ასტრიდ ლინდგრენის შემოქმედების პერსონაჟი; 95. მიმართვა ესპანურენოვანი „ბატონისადმი".